საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №11/18-1

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2018 წლის 22 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 21 ივნისს მომზადებული №11/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორები მიუთითებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიკერძოებულობაზე და აღნიშნავს, რომ კასატორსა და მოსამართლეს შორის უკანონო შეთანხმებას ჰქონდა ადგილი. აღნიშნულის დასტურად საჩივრის ავტორები უთითებენ სასამართლო სხდომის ხშირ გადადებასა და მხარის ბაჟისაგან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 06 აპრილს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- და -- -- მოპასუხე -- --, -- -- მიმართ და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების

ნაწილობრივ გაუქმება, სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიკუთვნება.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) -- -- და -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2016 წლის 28 ივნისს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება; -- -- და -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ნოტარიუს -- -- მიერ 2008 წლის 16 იანვარს გაცემული სამკვიდრო მოწმობა 1990 წლის 08 თებერვალს გარდაცვლილი -- -- სამკვიდრო ქონების 1/3 ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი -- -- და -- -- შორის 2014 წლის 23 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულება ნაჩუქარი ქონების 1/3 ნაწილში; -- -- და -- -- ცნობილ იქნენ -- --, -- -- მდებარე უძრავი ქონების -- -- საკუთრებაში რიცხულ ½-ის 1/3 წილის მესაკუთრედ.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --, -- -- და -- -- 2017 წლის 06 თებერვალს. საკასაციო საჩივარში მხარემ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ -- -- იყო მძიმე ონკოლოგიური დაავადების მქონე, ამასთან, ჰქონდა მრავალათასიანი სესხი. აღნიშნული ფაქტების დასადასტურებლად, საქმეში წარდგენილი იყო არაერთი ცნობა სხვადასხვა სამედიცინო ცენტრიდან, რომლებიც მოწმობდნენ კასატორის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას, ასევე წარდგენილი იყო დავალიანების ცნობა სს „-- --“ და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დაყადაღებულია უძრავი ქონება).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- --, -- -- და -- -- შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდა; -- --, -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 აპრილის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- --, -- -- და -- -- საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 10 მაისს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- --, -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად; საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე დაინიშნა 2017 წლის 07 ივლისს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- --, -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016

წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- და -- -- სარჩელი -- --, -- -- და -- -- მიმართ, 2008 წლის 18 იანვარს გაცემული №-- სამკვიდრო მოწმობისა და 2014 წლის 23 ივნისის ჩუქების ხელშეკრულების 1/3 ნაწილში გაუქმების, ასევე, სამკვიდროდან წილის მიკუთვნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა -- -- (ᲗᲐ/№--) საკუთრებაში რიცხულ, --, -- -- მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №--) 1/3 ნაწილს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1}-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

საჩივრის ავტორები მიუთითებენ მხარის ბაჟის გადახდისაგან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტზე, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ იმსჯელა წარდგენილ შუამდგომლობაზე და მტკიცებულებათა შეფასების შედეგად შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიჩნია, რომ -- --, -- -- და -- -- უნდა გადავადებოდათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმის საბოლოო განხილვამდე.

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 10 მაისს. 2017 წლის 10 მაისს -- --, -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე დაინიშნა 2017 წლის 07 ივლისს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2017 წლის 07 ივლისს გააუქმა -- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

ამდენად, საჩივრის ავტორთა მითითება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ რამდენჯერმე გადადო სხდომა გადაწყვეტილების მიღების მიზნით არსებული მასალებით არ დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე შესაბამისი გადაწყვეტილებების/განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერებაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული

დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №11/18-1 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი